

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა

გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარე სტატუსთან დაკავშირებით

24 მაისი, 2017

შეხვედრის თარიღი: 24 მაისი, 2016

განხილვის თემა: აივ/შიდსის მე-2 (1 ოქტომბერი-31 დეკემბერი 2016) და მე-3 პერიოდის (1 იანვარი 31 მარტი, 2017) და ასევე ტუბერკულოზის პროგრამის მე-2 პერიოდისა (1 ოქტომბერი 31 დეკემბერი, 2016) და მიმდინარე საგრანტო პროექტის პირველი პერიოდის (1 იანვარი - 31 მარტი 2017) განხორციელების ზედამხედველობის ინსტრუმენტი.

შეხვედრის დროს განხილულ იქნა აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარე სტატუსი საქართველოში პროგრამის განხორციელების ზედამხედველობის ინსტრუმენტსა და ინდიკატორებზე დაყრდნობით.

საზედამხედველო საბჭოს მიერ მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის ხელშესაწყობად.

აივ/შიდსის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამული ინდიკატორების შესრულება და რეკომენდაციები:

- დემბორდის მენეჯმენტის ინდიკატორის მიხედვით, 2016 წლის ბოლო კვარტალში, 1 მგ-იანი შპრიცების 6 თვის მარაგი ფიქსირდებოდა, 2017 წლის პირველ კვარტალში კი მარაგების მოცულობა შემცირდა - 4 თვის ოდენობამდე, რადგან საჭირო გახდა ამ მარაგის ხარჯვის დაწყება მას შემდეგ, რაც საინექციო მასალის შესავსებად გამოცხადებული სატენდერო პროცესი გაჭიანურდა. ტენდერის შედეგად შემოთავაზებული პროდუქტის შერჩევას, სათანადო ხარისხობრივი მახასიათებლების დაუკმაყოფილებლობისათვის ორი მომწოდებლის დისკვალიფიკაცია გახდა საჭირო. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვრის დასაწყისში გამოცხადებული ტენდერი სრულად ითვალისწინებდა პროგრამის კლიენტების სპეციფიურ საჭიროებებს და ეფუძნებოდა განმახორციელებელსა და ძირითად მიმღებს შორის დროულ და ეფექტურ უკუკავშირს. სარეზერვო მარაგების ამოწურვის თავიდან ასაცილებლად ძირითად მიმღებთან შეთანხმებით, *ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა* ხელშეკრულების ბიუჯეტში არსებული დანაზოგებით განხორციელა გადაუდებელი მარაგის ადგილობრივი შესყიდვა, რომელიც საკმარისი

იქნებოდა ტენდერით შესყიდული პროდუქციის მიღებამდე შედეგად, საინექციო მასალების მიწოდების კუთხით პრობლემა არ შექმნილა.

- აღსანიშნავია, რომ აივ/შიდსის პრევენციული პროგრამებით MSM-ების მოცვის მაჩვენებელი საგრძნობლადაა გაუმჯობესებული გასული წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის მონაცემებთან შედარებით, რაც უკავშირდება გლობალური ფონდის მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, პოპულზაციაზე მიმართული პროგრამების განხორციელებაში ახალი ერთეულების ჩართვას. პროგრამის რეგიონალური დაფარვის გაფართოვებასა და ბენეფიციართა მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესებას, რაც მისასაღმებელია. 2016 წლის აგვისტოდან MSM პოპულაციისთვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში ჩაერთო „თანასწორობის მოძრაობა“ რომელიც უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას რესურს ცენტრების ბაზაზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში.
- მსმ პოპულაციაში აივ-შიდსზე ტესტირების მაჩვენებელი შედარებით დაბალ ნიშნულზე ფიქსირდებოდა 2016 წლის IV კვარტალში (სამიზნე - 3,060 vs. მიღწეული შედეგი- 2,035) თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და გადააჭარბა სამიზნეს 2017 წლის I კვარტალში (სამიზნე - 1,063 vs. მიღწეული შედეგი- 1,114). ეს ასევე უკავშირდება იმ ღონისძიებებს, რაც გაატარა ძირითადად მიმღებმა მსმ პოპულაციისთვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელების კუთხით ახალი განმახორციელებლის (იხ. ზემოთ) ჩართვითა და ნერწყვით ტესტირების სისტემის დანერგვით. ტესტირების ეს მეთოდი უფრო მარტივ და მოსახერხებელ საშუალებას წარმოადგენს მსმ სამიზნე ჯგუფებში ტესტირებების რაოდენობის გასაზრდელად. ამავე ტრენდის შენარჩუნება მისასაღმებელი იქნება შემდგომ პერიოდებშიც.
- ანტირეტროვირუსული თერაპიის მიმღებთა რაოდენობა 2017 წლის I კვარტალში 83% შეადგინა (წლიური სამიზნე - 4,550 vs. მიღწეული მაჩვენებელი - 3,786). წლიურ სამიზნესთან მიმართებაში პირველი კვარტლის მაჩვენებელი კარგი შედეგს აჩვენებს. წლიურად კუმულაციური შედეგის დაანგარიშების შემდეგ შესაძლებელი გახდება სრული სურათის დანახვა. ამის გათვალისწინებით, საზედამხედველო კომიტეტი დაელოდება საბოლოო მონაცემებს რაიმე დასკვნის გასაკეთებლად.
- გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის ივლისიდან ჩანაცვლებით თერაპიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, აღნიშნული სერვისით მოცვის მაჩვენებელი სრულიად ამოვარდა დემზორდიდან. საბოლოო მონაცემებით, 2017 წლის იანვარი-მარტის მონაცემებით გლობალური ფონდის დაფინანსებით 886 ადამიანმა მიიღო მომსახურება პროგრამის ფარგლებში
- მედიკამენტების (ზიდოვუდინ/ლამივუდინი) მარაგი 2017 წლის I კვარტალში ფიქსირდებოდა შედარებით დაბალ ნიშნულზე (3 თვის სხვაობა მიმდინარე

რაოდენობასა და სათადარიგო მარაგს შორის). მარაგის შევსება დაგეგმილია მიმდინარე წლის ივნისში, შესაბამისად მარაგების ამოწურვის საშიშროება არ დგას.

ტუბერკულოზის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამული ინდიკატორების შესრულება და რეკომენდაციები:

ტუბერკულოზის პროგრამის ინდიკატორების უდიდესი ნაწილი აღწევს სამიზნეს, გარდა შემდეგისა:

- დეშორდის მიხედვით, ყველა სახის ტუბერკულოზის გამოვლენისა და მკურნალობაში ჩართვის შედარებით დაბალი მაჩვენებელი (2016 წლის ბოლოს კვარტალში: მიღწეული მაჩვენებელი 2,969 vs. სამიზნე - 4,056), ასევე ბაქტეოროლოგიური ანალიზის შედეგად ტუბერკულოზის გამოვლენის მაჩვენებელი 2016 წლის ბოლოსათვის (მიღწეული მაჩვენებელი - 1,764 vs. სამიზნე- 2,249) განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანების შემცირებით. ტუბერკულოზის პროგრამის შემდგომი ფაზის (P1) დეშორდში, რომელიც 2017 წლის I კვარტალს ასახავს, აღნიშნული სამიზნეები ამოღებულია.
- P1 (2017 IQ) სამიზნე მაჩვენებელი, რომელიც ეხება *მულტირეზისტენტული პაციენტების რაოდენობას, რომელმაც დაიწყო მკურნალობა მეორე რიგის მედიკამენტებით* (მიღწეული შედეგი 91 vs. სამიზნე - 111) და *ზემდგრადად რეზისტენტული ტუბერკულოზით (XDR TB) დაავადებულ პაციენტთა რაოდენობას, რომლებიც ჩაერთვნენ მკურნალობაში* (მიღწეული შედეგი -12 vs. სამიზნე - 16) 2017 წლის I კვარტლის დასაწყისში შედარებით დაბალ ნიშნულზეა დაფიქსიებული. გამომდინარე აქედან, საჭიროა დამატებითი, მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება როგორც მულტირეზისტენტული პაციენტებისათვის, ასევე ზემდგრადი რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისათვის, რათა მოხდეს მათი სამკურნალო პროგრამაში ჩართვა და მკურნალობის მთლიანი კურსის გავლა და დასრულება.
- 2016 წლის ბოლო კვარტალში (P2) საბიუჯეტო ხარჯების მარალი მაჩვენებელი უკავშირდება პროექტის ფარგლებში დიაგნოსტიკების დანადგარების (GeneXpert) და მედიკამენტების შესყიდვას, ასევე ქვე-კონტრაქტორის აუდიტის მომსახურებას, რის გამოც ხარჯვითი ნაწილი აღემატებოდა ამ პერიოდისათვის გამიზნული თანხების ოდენობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზედამხედველო კომიტეტს კომენტარი არ აქვს და მიესალმება ტესტირების ახალი მეთოდის - GeneXpertის გამოყენებით ტესტირებული ადამიანების ინდიკატორის გადაჭარბებით შესრულებას (P1, Q1, 2017).

შენიშვნა: 2017 წლის დეშბორდის მიხედვით, ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგის პროგრამული ინდიკატორების რაოდენობა შემცირდა და შემიფარგლა მხოლოდ 3 ინდიკატორით: 1. მულტირეზისტენტული პაციენტების რაოდენობა, რომელმაც დაიწყო მკურნალობა მეორე რიგის მედიკამენტებით; 2. ზემდგრადად რეზისტენტული ტუბერკულოზით (XDR TB) დაავადებულ პაციენტთა რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვნენ მკურნალობაში და 3. მულტირეზისტენტული და სხვა სახის ტუბერკულოზისათვის -ახალი და რელაფისის შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აღმოჩენილია WHO-ს გაიდლაინების მიხედვით დიაგნოსტიკის შედეგად სწრაფი მარტივ ტესტის საშუალებით.

შეხვედრის მსვლელობისას შეთანხმდა საზედამხედველო კომიტეტის 2017 წლის მარტის - 2018 წლის თებერვლის პერიოდის განახლებული სამუშაო გეგმა (იხ. თანდართული ფაილი).

შეხვედრას ესწრებოდნენ:		
თამარ ბორცვაძე	მსოფლიო ექიმები საფრანგეთი - საქართველოს წარმომადგენლობა	უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე
ირინა გრძელიძე	ქსს,	აღმასრულებელი მდივანი
ნათია ხონელიძე	ქსს,	ადმინისტრაციული ასისტენტი
ქეთევან სტვილია	NCDCPH, PIU	GFATM HIV პროგრამის მენეჯერი
გიორგი კუჭუხიძე	NCDC, PIU	GFATM TB პროგრამის მენეჯერი
ალექსანდრე ასათიანი	NCDC, PIU	GFATM HIV მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი
გიორგი სოსელია	NCDC, PIU	GFATM HIV მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი